განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

ბატონ მიხეილ ჩხენკელს

ბატონო მიხეილ,

მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ დასრულდა შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტი. მიღებულია პოლიტიკის მეცნიერებისთვის და განათლებისთვის საინტერესო შედეგები. ჩაეყარა საფუძველი პოლიტიკის მეცნიერების და პოლიტიკური განათლების ეროვნული სტრატეგიის და დარგობრივი საბჭოს შექმნას და ამით 2022-2032 წლის ახალი ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტის გაძლიერებას.

ჩვენს მონოგრაფიაში „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, წარმოდგენილია კაუზალური კავშირი - საქართველოში მოუგვარებელი სტრატეგიული ხასიათის კონფლიქტებსა და მეცნიერება/განათლების სისტემაში არსებულ გამოუყენებელ შესაძლებლობებს შორის.

8 ივნისს მონოგრაფია იყო წარმოდგენილი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიბლიოთეკაში. შეხვედრას ესწრებოდნენ განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე - ქალბატონი ნუნუ მიცკევიჩი, შოთა რუსთაველის მეცნიერების ეროვნული ფონდის გენერალური დირექტორი - ჯაბა სამუშია, სამინისტროს და ფონდის სხვა წარმომადგენლები.

ჩვენ ღრმად გვჯერა, რომ თქვენ როგორც მინისტრი მხარს დაუჭერთ მეცნიერებისა და განათლების სისტემის როლის გამოკვეთას დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტების პოზიტიური ტრანსფორმაციის საკითხში. ამისთვის მონოგრაფიაში წარმოდგენილია ფაქტობრივად მოქმედების პროგრამა.

მიგვაჩნია, რომ 2021 წლის სექტემბერში ჩვენ შეგვიძლია ჩავატაროთ საერთაშორისო კონფერენცია „მეცნიერება და განათლება მშვიდობისათვის“, რომელზეც იქნება წარმოდგენილი ჩვენს მიერ მოპოვებული სახელმწიფოსთვის მნიშვენლოვანი შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ ეს კონფერენცია ჩატარდეს საერთაშორისო ტრადიციის მიერ დადგენილ მშვიდობის კვირეულში, რომელიც იწყება 21 სექტემბერს (ღვთისმშობლობას), და გრძელდება ალავერდობის დღესასწაულამდე. ასეთი ღონისძიება გაუძლიერებდა იმედებს ასიათასობით ჩვენს მოქალაქეს, რომელიც ელოდება კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. გვაქვს იმედი რომ თქვენ და თქვენი სამინისტრო დაიკავებთ ღირსეულ პოზიციას სამშვიდობო პროცესის ავანგარდში.

კვლევითი პროექტის ჩარჩოში შექმნილი ნაშრომების თაობაზე ინფორმაცია კონცენტრირებულია საიტზე www.rav.2021.com.

იმ შემთხვევაში თუ ჩვენი წინადადებები თქვენთვის იქნება საინტერესო და მისაღები, მზად ვართ წარმოვადგინოთ ჩვენი მომავალი მოქმედებების და ასევე სექტემბრის კონფერენციის გეგმა თქვენთვის მოსახერხებელ დროს.

ღრმა პატივისცემით და იმედებით,

ფსიქოლოგიის დოქტორი, პოლიტიკიური მეცნიერებების დოქტორანტი -
ალექსანდრე რუსეცკი.